

გიორგი ბურჯანაძე

საქართველოს ედმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (Made in Soviet Union) და ედმინისტრაციული სამართალდარღვევის სისტემა

სარჩევი

აბსტრაქტი

შესავალი

მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

სამართლიანი სასამართლოს უფლება

შეკრების უფლება

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე

შეჯამება

ავტორის რეზიუმე

უბსტრუქტი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა დროს მიღებული სამართლებრივი აქტია, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის შემდეგაც ძალაშია საქართველოში. მიღების დღიდან თითქმის 500 ცვლილება განხორციელდა მის ტექსტში, მაგრამ დღემდე მისი სრული შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან ვერ მოხერხდა. ამ სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკის ფონზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირითადი პრობლემური საკითხები. პარალელურად სტატიაში განხილული იქნება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოების თაობაზე.

სტატიის პირველ ნაწილში განხილულია 2022 წლის სექტემბერში გამოტანილი გადაწყვეტილება მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. გაანალიზებულია ამ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი ნაწილები, ასევე ის საკითხები, რომლებიც გარკვეული ბუნდოვანებით ხასიათდება და რომელზეც მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ სამართალწარმოების პრაქტიკის დაზუსტება.

პარალელურად წარმოდგენილია გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის 2022 წლის სექტემბრის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოზე და შესაბამისი დეტალები, რომელიც მათ მიერ იქნა განხილული როგორც ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო.

ნაშრომის მიზანია დაეხმაროს საკითხით დაინტერესებულ აიუდიტორიას და სტუდენტებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ადამიანის უფლებებთან თავსებადობის პრობლემების შესახებ რეალური სურათის შექმნაში და მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, რათა სამომავლოდ უფრო რეალისტური გახდეს ადამიანის უფლებათა შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიღება

შესავალი

კანონის უზენაესობის დამკვიდრება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. არაერთი ევექტური და

არაეფექტური სამართლებრივი რეფორმა განხორციელდა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. შესაძლებელი გახდა ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე საპროცესო წესებს ადგენდნენ და თანამედროვე ადმინისტრირების და ადამიანის უფლებების პრინციპებს ეფუძნებოდნენ. მაგრამ ერთ-ერთი დარგი, რომელსაც არ შეხებია ფუნდამენტური საკანონმდებლო რეფორმები არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემა. 1984 წელს მიღებული კოდექსი, რომელიც ტექსტობრივად კი საბჭოურია,¹ შეიცავს უამრავ მკვდარ რეგულაციას, დაექვემდებარა ასეულობით ცვლილებას,² არ შეესაბამება ადამიანის უფლებებს³ და მისი არალოგიკური და ინდივიდების საწინააღმდეგოდ ფართო გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს⁴.

ძალიან რთულია ყველა იმ რეფორმის პროცესის ჩამოთვლა, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თავიდან მიღებას ისახავდა მიზნად. 2022 წლის მდგომარეობით, ყველა ეს მცდელობა უშედეგო იყო. არაერთ დონორ ორგანიზაციას დაუფინანსებია ახალი კოდექსის პროექტის მომზადება სხვადასხვა მოდლობაში⁵, მაგრამ ყველა მათგანი ფურცელზე დარჩა იურიდიული ძალის გარეშე. 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობითაც, საქართველოს ხელისუფლებას გაცხადებული აქვს რომ მიიღებენ ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს მცირე დროში.⁶

წლიდან წლამდე ვნახულობთ რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა ხდება ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ. მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც სამართლიანი სასამართლოს უფლების საწინააღმდეგოდ ახდენენ საქმეთა გადაწყვეტას, არარისსამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის და შესაბამისად შეჯიბრებითობა არ არის უზრუნველყოფილი, გადაწყვეტილების მიღება ხდება უმეტესად პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე. გარდა ამისა ძალიან ხშირია საპროცესო სამართლებრივი დარღვევები (ვადების გადაცილებები), ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პრაქტიკები (მაგალითად, დაკავების ოქმების გაუმართაობა) და ე.წ. რუხი ზონები (მაგალითად, მოსამართლე არ არის ვალდებული თავად შეამოწმოს დაკავების კანონიერება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის დროს). პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი კონსტიტუციური სარჩელი არის წარდგენილი ან უკვე განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.⁷

1 საბჭოთა ტერმინოლოგია („კოლექტივი“, „ამხანაგური სასამართლო“), კოდექსის არასრულყოფილი სტრუქტურა, დეფინიციების ბუნდოვანება და ა.შ.

2 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, 498 ცვლილება იყო განხორციელებული კოდექსში (აქედან 475 საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ).

3 Inter alia, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, 5.11 თავი.

4 მაგალითისთვის იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის №2/2/1360 განჩინება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. საქმეში მოსარჩელის მიერ ხდებოდა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სრულიად დაუსაბუთებლად გამოიყენებოდა მანიფესტაციის დროს კარვების გამოყენების აკრძალვისთვის.

5 იგულისხმება როგორც ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ისე კოდექსის ტექსტის ინტეგრირება სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

6 Human Rights Committee, Summary record of the 3888th meeting, Palais Wilson, Geneva, on Tuesday, 5 July 2022, პარ 63.

7 Inter alia, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3xfyUvk> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

თავისი არსით ქართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცედურა სისხლის სამართლებრივი შინაარსის⁸ არის. პირს შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა განსაზღვრულ სამართალდარღვევებზე და ამ დროს ადამიანის უფლებების სტანდარტები ისეთივე უნდა იყოს, როგორც არის მაგალითად სისხლის სამართლის პროცესში. სწორედ აღნიშნულის გამო არაერთი საჩივართ ხდება მიმართვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის.⁹ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოყენება პრობლემურია,¹⁰ რაც ხაზს უსვამს იმას რომ სასამართლო პრაქტიკით შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზების გამოსწორება.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკის ფონზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირითადი პრობლემური საკითხები. პარალელურად სტატიაში განხილული იქნება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოების თაობაზე. მნიშვნელოვანია რომ აკადემიურ სფეროში მუდმივად ხდებოდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აქტუალური პრობლემების დეტალური ანალიზი, ახალი ინფორმაციებისა და მიდგომების შესახებ განახლებული ინფორმაცია და კომენტირება. აღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს და საკითხის შესწავლით დაინტერესებულ პირებს ადამიანის უფლებების სტანდარტებთან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თავსებადობის თაობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, რაც სამომავლოდ უფრო მეტ ადამიანს დაარწმუნებს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აქტუალობაში.

სტატიის ფარგლებში დეტალურად იქნება განხილული საქმე მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ევროპულმა სასამართლომ 2022 წლის სექტემბერში გამოიტანა. სტატიაზე მუშაობის პროცესში არაერთი საქმე ფიქსირდებოდა ევროპული სასამართლოს წინაშე, რომელიც კომუნიცირებული იყო და ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან მომდინარე პრობლემებს.¹¹ იმედს ვიტოვებთ აღნიშნული გადაწყვეტილებები გახდება სამომავლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის საწინდარი.¹²

8 იმ განმარტების მიხედვით, რომელიც განვითარებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და რომელიც გულისხმობს სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე მსჯელობას.

9 Inter alia, ახალგაზრდა იურისისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული სარჩელი ზურა ჯაფარიძის საქმეზე, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3xf9U7q> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

10 EU Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17.6.2022 COM(2022) 405.

11 Inter alia, განაცხადი # 31349/20, ლაშა ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ; განაცხადი #70572/16, გვანცა ძერხორაშვილი საქართველოს წინააღმდეგ;

12 საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის გარკვეული გამოცდილება უკვე არსებობს, მაგალითად საქმე – 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Kakabadze and Others v. Georgia.

მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 2022 წლის 1 სექტემბერს¹³. განმცხადებლები იყვნენ სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც 2019 წელს მონაწილეობას იღებდნენ პროტესტში, სადაც მოთხოვნა იყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვა.

პროტესტის დღეს, სალამოს მიიტანეს ქვიშიანი ტომრები და კარვები პარლამენტის შესასვლელებთან. დემონსტრანტებმა, მათ შორის ამ საქმის სამივე მოსარჩელემ, ღამე გაათენეს პარლამენტთან. ისინი იყენებდნენ შეშას გათბობის საშუალებებად. პოლიციელები იყვნენ ადგილზე მუდმივად და რამე ინციდენტს არ ჰქონია ადგილი, გარდა იმისა რომ პოლიცია პრევენციულად კრძალავდა შეშის შემოტანას ადგილზე. იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რითაც გააფრთხილა მომიტინგეები რომ საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელის ბლოკირება იყო უკანონო და რომ ისინი უნდა დამორჩილებოდნენ კანონს და პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

2019 წლის 18 ნოემბერს დილით პოლიტიკოსებმა განაახლეს დემონსტრაცია და მოუწოდეს ხალხს პარლამენტის საქმიანობის ხელშეშლისკენ მოთხოვნების შესრულებამდე. მონაწილეები არ უშვებდნენ პარლამენტარებს საკანონმდებლო ორგანოში. დაახლოებით 2 საათზე სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღინიშნა რომ პარლამენტის ბლოკირების შემთხვევაში მოხდებოდა შესაბამისი ძალის გამოყენება. სასამართლომ აღნიშნა რომ 2-დან 5 საათამდე განხორციელდა სხვადასხვა საშუალებით მომიტინგეთა გაფრთხილება. 5 საათზე პოლიციამ დაიწყო შესასვლელების გათავისუფლება. ადგილზე იმყოფებოდა ასეულობით მომიტინგე და პოლიციელი. ჯამში დააკავეს 37 პირი, მათ შორის სამივე განმცხადებელი.

პირველი განმცხადებელი განმცხადებელი დააკავეს 5 საათსა და 20 წუთზე დაკავების ოქმის მიხედვით ის ახდენდა შესასვლელის ბლოკირებას და იგინებოდა უმისამართოდ. მეორე განმცხადებელი დააკავეს 7 საათზე და 15 წუთზე. დაკავების ოქმის მიხედვით ის იგინებოდა, მონაწილეობდა დემონსტრაციაში და არ დაემორჩილა ბოროტად პოლიციის მოთხოვნას. მესამე განმცხადებელი დააკავეს 5 საათსა და 20 წუთზე. დაკავების ოქმის მიხედვით ის დააკავეს პარლამენტის შენობასთან, სადაც ის მონაწილეობდა მანიფესტაციაში, არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და დაიწყო გინება. სამივე განმცხადებელი დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე¹⁴ და 173-ე¹⁵ მუხლების საფუძველზე.

¹³ განაცხადები – 23158/20 31365/20 32525/20, სასამართლო გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-218940> >

¹⁴ წვრილმანი ხულიგნობა.

¹⁵ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის

2019 წლის 19 და 20 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო ადმინისტრაციული საქმის განხილვა. პირველი და მეორე განმცხადებლების საქმეები გაერთიანდა, ხოლო მესამე ცალკე წარმოებად იქნა განხილული. ყველა განმცხადებელს ყავდა მათ მიერ არჩეული ადვოკატი.

პირველი და მესამე განმცხადებლის საქმის განხილვისას მათი მონაწილეობით არსებული ვიდეო მტკიცებულებები განიხილეს. მათ ჰქონდათ მოწმე პოლიციელებისთვის კითხვების დასმის უფლება. მოსამართლემ გადაადო საქმის განხილვა, რათა განმცხადებლებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

პირველ და მეორე განმცხადებელს მიეცათ შემთხვევის მოწმე სხვა პირების დაკითხვის შესაძლებლობა. მათ განაცხადეს რომ არ ჰქონდა ადგილი პარლამენტის შესასვლელის ბლოკირებას. აღნიშნულის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს პოლიციელებმა.

2019 წლის 21 ნოემბერს სასამართლომ სამივე განმცხადებელი სამართალდარღვევად ცნო პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ნაწილში. დასაბუთებაში იქნა აღნიშნული, რომ სამართალდარღვევის აღმკვეთი პირების ჩვენებები უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული ინფორმაციის წყარო. ეს განპირობებული იყო მათი პროფესიული საქმიანობით და მათი საჯარო და სამოქალაქო ვალდებულებებით. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი პოლიციელის ჩვენების სანდოობას მისი სპეციალური ცოდნიდან გამომდინარე. დამატებით აღინიშნა და ხაზი გაევა კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმფციას და იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარემ უნდა დაამტკიცოს რომ პოლიციელის ქმედება იყო უკანონო.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა რომ პოტენციური სამართალდამრღვევის ჩვენებას არ ეძლეოდა დიდი წონა და მნიშვნელობა, რადგან ისინი დაინტერესებული პირები არიან და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნები შეიძლება ამოძრავებდეთ.

სასამართლომ განმცხადებლები გაამართლა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებაში. პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ნაწილში სამივე განმცხადებელს შეეფარდათ სხვადასხვა ოდენობის პატიმრობა.

განმცხადებლებმა გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რადგან მიაჩნდათ რომ ადმინისტრაციული დაკავება და შესაბამისი ოქმები ზოგადი ტერმინებით იყო შედგენილი, რის გამოც ეფექტური დაცვის განხორციელება შეუძლებელი იყო. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს რომ გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული. პირველ განმცხადებელთან მიმართებით აღნიშნული იყო, რომ ვიდეო ჩანაწერი, რომელიც საქმეში იდო არჩვენებდა მის პოლიციის მანქანაში გადაყვანას მხოლოდ და არა დაკავების მომენტს. მეორე განმცხადებელთან მიმართებით საერთოდ არანაირი ვიდეო ან სხვა მტკიცებულება იყო საქმეში, რომელიც პოლიციელთა ჩვენებას და დაკავების ოქმის დეტალებს გაამყარებდა. მესამე განმცხადებლის

თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

შესახებ ვიდეო ჩანაწერები მხოლოდ მის ძირს ჯდომას ან სასტვენით პროტესტის გამოხატვას ადასტურებდა. არცერთი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით განმცხადებლები მიუთითებდნენ რომ რადგან საქმეში არ მონაწილეობდა პროკურორი, მოსამართლეს უწევდა საპროკურორო ფუნქციის შეთავსება და შესაბამისად ირღვეოდა მიუკერძოებლობის მოთხოვნა კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, განმცხადებლები უთითებდნენ რომ პოლიციელთა ჩვენებას მიენიჭა უფრო მეტი დატვირთვა და შესაბამისად მტკიცების ტვირთიც მათზე გადმოვიდა, რაც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასთან შეუსაბამოა და არათანაბარ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულები სახელმწიფოს წარმომადგენლებთან შედარებით.¹⁶

ევროპულმა სასამართლომ ორივე საკითხი ერთდროულად განიხილა, რადგან ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან.¹⁷ თავის მხრივ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა რომ ცალკე აღებული პროკურორის არარსებობა საქმეში *per se* არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კონვენციასთან.¹⁸

ევროსასამართლომ აშკარად არ გაიზიარა ის მიდგომა, რომელიც თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ იქნა მიითითებული გადაწყვეტილებაში და რომლითაც ისინი უფრო მეტ წონას და სანდოობას ანიჭებდნენ პოლიციის თანამშრომლის ჩვენებას. ევროსასამართლოსთვის უფრო მეტად მისაღები იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება¹⁹ (რომელიც ასევე საქმეშია ციტირებული), სადაც მიეთითა რომ პოლიციელის ჩვენებას უნდა ჰქონოდა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სხვა მოწმეების შემთხვევაში.²⁰

ევროპულმა სასამართლომ ცალკე აღებული ამ ფაქტის გამო არ დაადგინა პირდაპირ დარღვევა და იმსჯელა იმაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს განმცხადებელთა საქმეზე.²¹

ევროსასამართლომ პირველ რიგში გაითვალისწინა ის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ავტომატურად არ გაიზიარეს ყველა ის მსჯელობა, რომელიც პოლიციელებმა ჩვენებებში

16 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, პარ 53-54.

17 იქვე. პარ 60.

18 იქვე. პარ 59.

19 #ბს-544-535(კ-12)

20 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 62.

21 იქვე. პარ 61.

განაცხადეს. ამ მიზნით ევროსასამართლომ მიუთითა წვრილმანი ხულიგნობის ნაწილში გამართლების თაობაზე.²² დამატებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველი და მესამე განმცხადებლის საქმეში მსჯავრდება მეტწილად ეფუძნებოდა მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს, მათთან მიმართებით არსებობდა სხვა ვიდეო მტკიცებულებებიც. ევროსასამართლომ განმარტა, რომ ამ მტკიცებულებების საკმარისობაზე მსჯელობა ეროვნულ სასამართლოთა განსახილველი საკითხი იყო. სწორედ ამის გამო ევროსასამართლომ ამ ნაწილში არ დაადგინა დარღვევა პირველ და მესამე განმცხადებელთან მიმართებით.²³

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით ევროსასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინა მეორე განმცხადებელთან მიმართებით, რადგან მის საქმეში პოლიციელთა ჩვენების გარდა სხვა არცერთი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი. ამ პირობებში განმცხადებელს მოუწია პოლიციელთა ჩვენების საპასუხოდ მისი უდანაშაულობის მტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა მიუთითა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, სასამართლოს მიუკერძოებლობის ობიექტურ ტესტზე და მხარეთა თანასწორობაზე, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ირღვეოდა მთლიანი სამართალწარმოების სამართლიანობა მეორე განმცხადებელთან მიმართებით. დამატებით ხაზი გაესვა ევროსასამართლოს მიერ იმას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ვერ მოახდინა პირველი ინსტანციის ჯეროვანი შემოწმება. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ არ იქნა გაზიარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და იმას რომ საქმეში არ იყო სხვა მტკიცებულებები.²⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ცხადად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს სასამართლოები არ ითვალისწინებენ ევროსასამართლოს პრაქტიკას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეთა განხილვისას. ასევე ნათელია რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ აზღვევს ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგო სტანდარტების პრაქტიკულ გამოყენებას. ამავდროულად ამ საქმით გამოჩნდა რომ სამართალწარმოების ფარგლებში არ ხდება უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებების შესაბამისი პრაქტიკის გამოყენებაც.

თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია რომ ევროპულმა სასამართლომ პრიორიტეტულად განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებიდან გამომდინარე საჩივრები საქართველოდან, რათა ადგილობრივ დონეზე მეტად გაჩნდეს რეფორმების განხორციელების სურვილი.

პარალელურად სასურველია ევროპულმა სასამართლომ სამომავლოდ დააზუსტოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებული იყო პირველი და მესამე განმცხადებლების საქმესთან. გადაწყვეტილება ამ ნაწილში ბოლომდე არ სცემს იმ კითხვაზე პასუხს, რატომ დაირღვა ევროპული კონვენცია მხოლოდ მეორე განმცხადებლის და არა პირველი და მესამეს მიმართაც. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ სააპელაციო სასამართლო (რომელიც საბოლოო ინსტანციაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე)

22 იქვე. პარ 63.

23 იქვე.

24 იქვე. პარ 64.

ორივე სხვა განმცხადებელთა მიმართულებითაც იყო არაეფექტური. ასევე პირველი განმცხადებლის საქმეში ვიდეო მასალა მხოლოდ მისი პოლიციის მანქანაში მიყვანის კადრებს ასახავდა და არა უშუალო დაკავების.²⁵ ასევე ევროსასამართლოს ერთ-ერთი მსჯელობაც იმის შესახებ, რომ საქალაქო სასამართლომ ერთ ნაწილში გაამართლა განმცხადებლები, ვერ გამოდგება იმის დასტურად რომ ამ ნაწილში სასამართლო სამართლიანად მოქმედებდა. ამ დაშვების არგუმენტად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება სამომავლოდ ბრალდებების ხელოვნური დამატება და პირთა გამართლება, რასაც ეროვნული სასამართლოები გამოიყენებენ მათ არგუმენტაციაში ბრალდებულთა საწინააღმდეგოდ.

შეკრების უფლება

განმცხადებლები ასევე დავობდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებისას და მსჯავრდებისას მათ დაერღვათ მშვიდობიანი შეკრების უფლება.

ამ მიმართებით ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მანიფესტაციის მსვლელობისას ძალადობრივი ქმედებების არარსებობისა, პარლამენტის შესასვლელების სრული ბლოკირება კანონმდებლობის დარღვევით, პოლიციის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად და დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წევრებისთვის ხელის შეშლა განახორციელონ მათი ფუნქციები, არის დემოკრატიული საზოგადოების არსებითი ნაწილი და შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაგმობ ქმედებად.²⁶ ამ კონტექსტში სახელმწიფოს მიერ დაცული ინტერესები წონიდა განმცხადებლების გამონახტვის ინტერესებს.²⁷ სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ პოლიციამ აწარმოა მოლაპარაკებები, მანიფესტანტებს აცნობა წესები და რეგულაციები დემონსტრაციების თაობაზე, მაგრამ პარლამენტის არცერთი შესასვლელი არ იქნა გახსნილი. სასამართლომ ხაზი გაუსვა ასევე ხარისხობრივ ელემენტს – გაფრთხილება საკმარისად ხმამაღლა იყო გაცხადებული და ასევე კანონიც გამჭვირვალე იყო, რომელიც კრძალავდა შენობების ბლოკირებას.²⁸

მიუხედავად იმისა რომ პირთა დაკავება და სანქცირება მოხდა, ევროსასამართლომ აღნიშნა რომ აღნიშნული პროპორციული იყო, რადგან მათ ჰქონდათ პროტესტის გამხობატვის შესაძლებლობა რამდენიმე დღის განმავლობაში. იქიდან გამომდინარე რომ პარლამენტის ბლოკირება რამე კონკრეტული პერიოდით კი არ იყო დაგეგმილი, არამედ განუსაზღვრელად, სახელმწიფოს დადანაშაულება რომ მათ საკმარისი ტოლერანტობა არ გამოავლინეს პროტესტის მიმართ, ასევე არ შეიძლება ყოფილიყო გაცხადებული.²⁹ საქციის სიმცირიდან გამომდინარე, ევროსასამართლოსთვის ასევე არ იქნა დამაჯერებელი ის ფაქტი, რომ ამ

25 იქვე. პარ 28.

26 იქვე. პარ 99.

27 იქვე. პარ 100.

28 იქვე. პარ 101.

29 იქვე. პარ 102.

ყველაფერს გამყინავი ეფექტი ექნებოდა გამოხატვის თავისუფლებაზე.³⁰ აქედან გამომდინარე პირველ და მესამე განმცხადებელთან მიმართებით არ დადგინდა დარღვევა (იგივე პირები, ვის მიმართაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა არ დადგინდა).

მეორე განმცხადებელი სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით არ იყო საერთოდ ორგანიზატორი და მისი დაკავება შენობების შესასვლელების გახსნიდან 2 საათის შემდეგ მოხდა, რის გამოც სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა მასთან მიმართებით შეკრების უფლების შეზღუდვა.

სახელმწიფოს წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ მიუხედავად იმისა რომ ვიდეო მტკიცებულებების წარდგენა არ მომხდარა მეორე განმცხადებლის სასამართლო პროცესზე თბილისის საქალაქო სასამართლოში, ეს ვიდეო ჩანაწერები იყო საჯარო და ევროსასამართლოს შეეძლო მისი გამოყენება საკითხის შეფასებისას. ეს მიდგომა არ გაიზიარა ევროსასამართლომ და ხაზი გაუსვა იმას, რომ მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა საჭიროებდა ჯეროვან სასამართლო კონტროლს. ევროსასამართლოს შეფასებით ეროვნულ სასამართლოს არ შეუფასებია ის საკითხი თუ რამდენად განზრახ ახდენდა მეორე განმცხადებელი გზის გადაკეტვას და ხომ არ იყო აღნიშნული გამოწვეული ადგილზე გამოწვეული გარემოებით (არსებული ხალხის რაოდენობა და პოლიციის შესაბამისი მოთხოვნების კანონიერება).³¹ დამატებით, ამ ფაქტორების მხედველობაში მიღებით, ხაზი გაესვა იმას რომ განმცხადებელს შეეფარდა 4 დღით პატიმრობა.³² ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო დადგინდა კონვენციის დარღვევა.

ევროსასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ეროვნულ სასამართლოებს აქვთ დიდი როლი ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. როდესაც ხდება კონკრეტულ უფლებაში ჩარევა და პასუხად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მექანიზმი გამოიყენება, საჭიროა შესაბამისი პროცედურების დაცვა. ეროვნული სასამართლოს როლი გულისხმობს იმას, რომ მან უნდა შეაფასოს საკითხი სამართლიანად, შეჯიბრებით პროცესში, სადაც ყველა მტკიცებულების გამოკვლევა მოხდება. ანუ პროცესის სამართლიანობა არის საფუძველი იმის რომ უფლებები ჯეროვნად შეიზღუდოს და არ იყოს სახეზე უფლებადარღვევა.

30 იქვე. პარ 103.

31 იქვე. პარ 105.

32 იქვე. პარ 106.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა სისტემა კომპლექსურია და სხვადასხვა მექანიზმებს ითვალისწინებს. მათ შორის არის ინდივიდუალური განაცხადების განხილვა ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ. კომიტეტის იურისდიქცია ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ნაწილში შედარებით შეზღუდულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან შედარებით. მაგალითად კომიტეტი არ იხილავს ისეთ საკითხებს,³³ სადაც განმცხადებელი აცხადებს რომ მხოლოდ პოლიციელთა ჩვენების საფუძველზე ხდება პირთა გამყუნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე და აღნიშნულს ფაქტობრივ შეფასებად მიიჩნევს³⁴.

აღნიშნულის მიუხედავად გაეროს სისტემაში საკმაოდ განვითარებულია ანგარიშგების მექანიზმები. მათგან ერთერთია დასკვნითი მოსაზრებების (concluding observations) მომზადება გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის (ICCPR) ვალდებულებების შესრულების თაობაზე და აღნიშნული წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ანგარიშის წარდგენას და კომიტეტის მიერ მის შემდგომ შეფასებას. პროცედურის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ მოსაზრებების წარდგენის უფლებამოსილება.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2022 წლის 13 სექტემბერს საქართველოსთან მიმართებით გამოაქვეყნა დასკვნითი მოსაზრებები, სადაც ერთი საკითხი ეთმობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმას.³⁵ კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს მთავრობას ანალოგიური რეკომენდაციები მიეცა შეფასების წინა ციკლის ფარგლებში 2014 წელს³⁶ და მიეთითა რომ ადმინისტრაციული პატიმრობის იმ დროისთვის მოქმედი სისტემა არ უზრუნველყოფდა საკმარის საპროცესო გარანტიებს, მათ შორის მხარეთა თანასწორობას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სამი მუხლის ფარგლებში და პერსპექტივაში აფასებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმას – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება (მე-9 მუხლი), ღირსების უფლება (მე-10 მუხლი) და სამართლიანი სასამართლოს უფლება (მე-14 მუხლი).

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 2022 წლის დასკვნით მოსაზრებაში აღნიშნა, რომ ისინი შეშფოთებულები არიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის მუდმივად არარსებობის ხარვეზებით. მათ მიერ

33 Inter alia, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2020 წლის 23 ივლისის მოსაზრება (view), CCPR/C/129/D/2337/2014, 2020 წლის 16 ოქტომბერი, 6.6.

34 კომიტეტი ამ საკითხს მხოლოდ მაშინ აფასებს როდესაც შეფასება იყო ცალსახად თვითნებური ან სახეზე იყო მართლმსაჯულებაზე უარის თქმა ან სასამართლო არ იყო მიკერძოებული და დამოუკიდებელი.

35 CCPR/C/GEO/CO/5, 2022 წლის 13 სექტემბერი, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, პარ 29 და 30.

36 CCPR/C/GEO/CO/4, 2014 წლის 19 აგვისტო, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, პარ 13.

მკაფიოდ იქნა ჩამოთვლილი ძირითადი პრობლემები, რომლებიც კანონმდებლობის დონეზე არსებობს:

- დაკავებულთა არასაკმარისი დაცვითი გარანტიები;
- მტკიცების სტანდარტის სიცხადის ნაკლებობა;
- მტკიცების სტანდარტის გადაკისრება დაკავებულებზე;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრების ჯეროვანი უფლების არარსებობა;

კომიტეტმა ცალკე გამოყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაკავებულ პირთა ძირითადი უფლებების პრაქტიკული უზრუნველყოფის მთავარი ხარვეზი – ადვოკატზე დაუყონებლივი წვდომის გარანტია, რაც ასევე არასათანადო მოპყრობის რისკს ბრდის როგორც დაკავებისას ისე პატიმრობის დროსაც.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს სახელმწიფოს დააჩქაროს საკანონმდებლო პროცესი, რათა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს პაქტის (ICCPR) მე-9, მე-10 და მე-14 მუხლებთან. განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმას, რომ უნდა იქნას უზრუნველყოფილი სამართლიანი და მიუკერძოებელი სამართალწარმოება. დამატებით სახელმწიფოს დაევალა საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის დაკავებისვე საწყისი მომენტიდან შემდეგი გარანტიების უზრუნველყოფა:

- ადვოკატზე სწრაფად წვდომის გარანტია;
- მესამე პირისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლება;
- მოსამართლის წინაშე სწრაფად წარდგენის ვალდებულება;

სახელმწიფოს დამატებით დაევალა ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების არასათანადო მოპყრობისგან დამატებითი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. ასევე დაწყებული გამოძიებების ეფექტური წარმოება და პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა.

კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მოამზადა მისი პასუხი და აღნიშნა, რომ კომიტეტის დასკვნა ადმინისტრაციულ დაკავებაზე უსაფუძვლო იყო და მიუხედავად მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციისა, არ მოხდა მათი შესაბამისი გათვალისწინება.³⁷ საქართველოს მთავრობა არ დაეთანხმა კომიტეტის დასკვნით მოსაზრებაში გამოთქმულ არცერთ პრობლემას და ხაზი გაესვა რომ არც მტკიცების სტანდარტთან, არც ადვოკატის ხელმისაწვდომობასთან, არც სამართალწარმოების ვადებთან და გასაჩივრებასთან, არც საქმისწარმოებასთან და არც არასათანადო მოპყრობის რისკებთან მიმართებით არანაირი გამოწვევა არ არსებობდა ეროვნულ დონეზე.

37 Comments of the Government of Georgia to the Concluding Observations on the Fifth Periodic Report of Georgia submitted to the Human Rights Committee on the Implementation of the International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), გვ 15-16. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3DvIEFw> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

მიუხედავად საქართველოს მთავრობის მტკიცებისა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმაზე საუბრობდნენ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისთვის გადაგზავნილ ანგარიშში ადგილობრივი³⁸ და საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციები³⁹ და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი⁴⁰.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი მიდგომა მკაცრია ისეთი პროცედურების მიმართ, რომელიც იწვევს ადამიანის უფლებების შეზღუდვებს. მაგალითად, შეკრება მანიფესტაციის შეზღუდვის ნაწილში, როცა სანქციების გამოყენება ხდება, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პაქტის მოთხოვნების დაცვით და არაბუნდოვანი ნორმების საფუძველზე.⁴¹ დამატებით ხაზი ესმევა გასაჩივრების და უფლებაში აღდგენის შესაძლებლობას.⁴²

ამ მიმართულებით არაერთი ინდივიდუალური საქმე იხილება კომიტეტის მიერ, რომელიც დაკავშირებულია შეკრება მანიფესტაციის და გამოხატვის თავისუფლების უფლების რეალიზებასთან და სადაც უფლებაშეზღუდვა განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე.⁴³ აღსანიშნავია, რომ ეს ქვეყნები ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები არიან (ბელორუსი⁴⁴ და ყაზახეთი⁴⁵) და მსგავსად საქართველოსი, მათაც აქვთ საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საქმისწარმოების გამოცდილება და ისტორია. კომიტეტისთვის წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების დაკისრება ხდება ისეთი ქმედებებისთვის, როგორც არის სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტი, არანებადართული შეკრების ორგანიზება, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდა რატიფიცირებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, რეალურად მისი იმპლემენტაციის დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი. ცალკეულმა საბჭოთა რესპუბლიკებმაც, რომლებმაც დამატებით

38 EMC, GYLA, Alternative Report on Georgia's Compliance with the International Covenant on Civil and Political Rights ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3eMhNuy> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

39 Human Rights Watch, Submission by Human Rights Watch to the UN Human Rights Committee in Advance of its Adoption of the List of Issues for Georgia's Fifth Reporting Cycle, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3LBe7Jl> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

40 Public Defender of Georgia, Written submission to the 135th Session of the Human Rights Committee. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3QPepOy> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

41 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), CCPR/C/GC/37, 17 September 2020, პარ 67.

42 იქვე. პარ 69.

43 განაცხადები – 3284/2019; 3288/2019; 3289/2019; 3290/2019; 3292/2019; 3298/2019; 3630/2019 – 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ინფორმაცია ხელმისაწვდომია იყო შემდეგ ვებ-გვერდზე: < <https://www.ohchr.org/sites/default/files/2022-03/RegisteredCases2019.pdf> >

44 ბელარუსთან მიმართებით გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მომწესრიგებელი კანონმდებლობის რეფორმირება. Concluding observations on the fifth periodic report of Belarus, CCPR/C/BLR/CO/5, 2018 წლის 22 ნოემბერი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3S8MoRw> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

45 ყაზახეთთან მიმართებით გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მომწესრიგებელი კანონმდებლობის რეფორმირება. Concluding observations on the second periodic report of Kazakhstan, CCPR, C/KAZ/CO/2, 2016 წლის 9 აგვისტო. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://bit.ly/3UitVDV> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

მოახდინდეს პაქტის რატიფიცირება, ვერ შეცვალა დიდად სიტუაცია და აღნიშნულს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.⁴⁶ აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია თანამედროვე გამოწვევებთან პაქტის სრული ადაპტაცია და საბჭოთა გამოცდილებაზე შექმნილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის სრული განახლება.

შეჯამება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილება განხორციელებადი რეფორმაა, მაგრამ მისი კომპლექსურობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, არავინ იცის ზუსტად როდის მოხდება ახალი კოდექსის შემუშავება და მიღება. სანამ საბჭოთა დროს მიღებული კოდექსი სრულად შეიცვლება, საერთაშორისო ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია.

როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მოხდება პირთა ცნობა ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ, აუცილებელია მაქსიმალურად ბევრი საქმის გასაჩივრება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. ყველა ის შემთხვევა, როდესაც სამართლიანი სასამართლოს, თავისუფლების და უსაფრთხოების ან ნებისმიერი სხვა შინაარსობრივი უფლების (მაგ, გამონატყვის თავისუფლება) დარღვევა დადგინდება ევროსასამართლოს მიერ, აღნიშნულს პრევენციული ეფექტი ექნება ეროვნულ დონეზე სამომავლო საქმეებზე.

პარალელურად, ყველა გამოტანილი გადაწყვეტილების მაქსიმალური ანალიზი უნდა მოხდეს და შემდეგ საქმეებში დამატებითი არგუმენტაცია წარედგინოს ევროსასამართლოს, რათა საქართველოს შიდა ეროვნულ სისტემაში არსებული გამოწვევები გამოსწორდეს საერთაშორისო პრაქტიკით. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია რომ მეტმა შესაბამისმა სუბიექტმა წარადგინოს მოსაზრებები ევროპული სასამართლოს წინაშე, რაც დაეხმარება სასამართლოს საკითხის სწორად შეფასებაში.

მაქარაშვილის და სხვების საქმის აღსრულება წარიმართება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე. მნიშვნელოვანი იქნება რომ მეტი ინფორმაციის წარდგენა მოხდეს კომიტეტისთვის, მინისტრთა კომიტეტის მიერ დაგენილი პროცედურის შესაბამისად.⁴⁷ პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი პრიორიტეტის მინიჭება ამ საქმის აღსრულებაზე, რაც სახელმწიფოს მეტ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფდა.⁴⁸ პარალელურად

46 Sarah Joseph, Melissa Castan, The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials and Commentary, OUP, მე-3 გამოცემა, გვ 908.

47 Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://rm.coe.int/16806eebf0> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].

48 იქვე. წესი #4.

მე-9 წესის საფუძველზე (ე.წ. Rule 9 კომუნიკაცია) მეტი ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს მინისტრთა კომიტეტისთვის, რათა ისინი ფლობდნენ მაქსიმალურად ბევრ ინფორმაციას გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საჭირო ზოგადი და ინდივიდუალური ღონისძიებების თაობაზე. გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის ფარგლებში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს შემდგომ გამოაქვს რეზოლუცია ან გადაწყვეტილება, ავალებს სახელმწიფოს შესაბამის ვალდებულებებს და ამოწმებს შემდგომ მათ შესრულებას. აღსანიშნავია რომ ევროსასამართლომ 2017 წელს დახურა საქმის აღსრულება კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ როგორც აღსრულებული, მაშინ როცა არცერთი „Rule 9 კომუნიკაცია“ არ ყოფილა წარდგენილი მის ფარგლებში.⁴⁹

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მაქსიმალური პოპულარიზაცია უნდა მოხდეს საქართველოში. ეროვნულ სასამართლოებს უნდა წარედგინოთ სასამართლო მეგობრის მოსაზრებები, სადაც დეტალურად იქნება გაანალიზებული ევროსასამართლოს ბოლოდროინდელი და განახლებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია; ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ბოლოდროინდელი მიდგომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პროცედურების შეფასების თაობაზე როგორც საქართველოს, ისე სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან მომდინარე პრაქტიკების თაობაზე. აღნიშნულით ქართულ სასამართლოებს ექნებათ იმის მეტი შესაძლებლობა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად წარმართონ სამართალწარმოება.

ავტორის რეზიუმე

გიორგი ბურჯანაძე ფლობს შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მაგისტრის – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (2012) – და სისხლის სამართლის მაგისტრის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2011) – ხარისხებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 2009 წელს მას მიენიჭა სამართლის ბაკალავრის ხარისხი. ამჟამად გიორგი ბურჯანაძე საქმიანობს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორის პოზიციაზე, სადაც უძღვება კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართლის კურსებს. გარდა აღნიშნულისა 2018 წლიდან მას უკავია საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის პოზიცია და საქმიანობს ადამიანის უფლებების დაცვის (მათ შორის ადამიანის უფლებების განათლების საკითხებზე) მიმართულებით. მას აქვს სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ადამიანის უფლებების მიმართულებით.

49 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://hudoc.exec.coe.int/eng?i=004-5832> > [ბოლოს ნანახია 2022 წლის 1 სექტემბერს].